მეოთხე საკონტროლო მატჩი

გუშინ, თბილისში, სკა–ს სტადიონზე ადგილობრივმა “დინამოს” ფეხბურთელებმა ჩაატარეს მეოთხე ამხანაგური საკონტროლო მატჩი. ამჯერად მათი მოწინააღმდეგე იყო “ბ” კლასის კოლექტივი – მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდი.

თბილისელებმა თამაშის პირველი ნახევარი ძალზე სუსტად ჩაატარეს. კოლექტივში არ იგრძნობოდა ერთიანობა. ეს უფრო მეტად თავდასხმაზე ითქმის. სამაგიეროდ, სტუმრები მთელი მონდომებით ცდილობდნენ ანგარიშის გახსნას და მიაღწიეს კიდევაც. მათ მიერ წამოწყებული შეტევები ორჯერ დამთავრდა თბილისელთა კარის აღებით.

მეორე ნახევარში კვასხვაძის, ხუნდაძის, ხელაძისა და იაშვილის ნაცვლად მოედანზე გამოვიდნენ ლეჟავა, ზეინკლიშვილი, პეტრიაშვილი და ფიფია. მასპინძელთა თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა. ჯერ მელაშვილმა ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ფიფიამ ანგარიში გაათანაბრა – 2:2. შეხვედრის დასასრულს დათუნაშვილმა კიდევ ერთხელ შეარხია სტუმრების კარის ბადე და წინ გაიყვანა თავისი კოლექტივი.

გაიმარჯვეს დინამოელებმა – 3:2.

8 აპრილი, 1961 წ.